**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**
**დადგენილება №01-05-04/153**

ქ. თბილისი 7 ოქტომბერი 2021წ

**საათობრივი ანაზღაურების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 7 ოქტომბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებზე აკადემიური, მასწავლებელთა პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტებისათვის განსაზღვრული აკადემიური დატვირთვის გარდა არსებულ დატვირთვაზე მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ოდენობა და ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 8 ლარის ოდენობით და მასზე გავრცელდეს უცხოენოვან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე შრომის ანაზღაურების შესახებ არსებული კოეფიციენტი.
2. გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**